ორგანიზაციის საქმიანობის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY

ივლისი, 2013, №01 (1)

პროექტი

იქმნება ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 1 სექტემბრიდან, ახალ პროექტის განხორციელებას იწყებენ, რომლის სახელწოდებაცაა „ახალგაზრდული ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“. ევროპული გამოცდილება ადასტურებს, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ახალგაზრდული ინტერესების და ინიციატივებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის, საქართველოს მაგალითზე კი, ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ გავლენას ასეთი ინიციატივების განვითარებისა და ლობირებისათვის. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საკითხის სისტემური გააზრებით შესაძლებელია ამ პრობლემის ირგვლივ პროგრესის მიღწევა. სტრატეგიის სწორად დაგეგმვა და წარმართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ პოლიტიკის ავტორებს ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა არ მიაწოდეს საკუთარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ოღონდ კვალიფიციური რეკომენდაციების სახით, არ უნდა არსებობდეს იმის მაღალი მოლოდინი, რომ ხელისუფლება ცალმხრივად იქნება აქტიური.

ორგანიზაციას გამიზნული აქვს პროექტის იმგვარად ჩატარება, რომ მოიცვას, რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარე, კონკრეტულად კი, თავისთავად, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, კანონმდებლები, აღმასრულებლები, ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოება ჩართოს დიალოგში შერჩეული თემების ირგვლივ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს „ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“, იგი მიერთებულია რეგიონულ ფედერაციას, როგორიცაა ევროპული ახალგაზრდული ფორუმი, ხოლო საერთაშორისო დონეზე - ევროპულ ახალგაზრდულ პორტალს. ამგვარი საბჭო, როგორც ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლობითი ორგანო, ორინტირებულია არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპულ დონეზე წარმოჩენისათვის, პროექტის ფარგლებში შექმნილი პლატფორმა კი, ფუნქციურად და შინაარსობრივად განსხვავებულია საბჭოსაგან: ა) იგი ერთის მხრივ ქმნის ორგანიზებულ ეროვნულ ქსელს, რა დროსაც ორიენტირებულია რეგიონებზე, ბ) კოალიციისათვის თემატურ პრიორიტეტად განისაზღვრება სტრუქტურული დიალოგი და გ) კოალიცია არ ისახავს მიზნად კამპანიის წარმოებას ან ახალგაზრდული პოლიტიკის თემის ადვოკატირებას. მისი მიზანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობა.

საქართველოში, ამჟამად ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, არათუ საბჭოს ექვემდებარებიან ეროვნულ დონეზე, არამედ მათ საქმიანობას ახასიათებს ფრაგმენტულობა და არაორგანიზებულობა. ამიტომაც, ადგილობრივ დონეზე შექმნილი ქსელი უზრუნველყოფს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების მიმართ მკვეთრი ხედვის ჩამოყალიბებას:

- შეაფასებს ახალგაზრდობის მონაწილეობის დონეს;
- განსაზღვარავს აქტივობის სფეროებს;
- აღმოაჩენს ახალგაზრდული ორგანიზაციების ძირითად პრობლემებს და განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობისას;
- იდენტიფიცირებას გაუკეთებს დიალოგის ხელისშემშლელ პრობლემებს;
- განიხილვას საქართველოში ახალგაზრდების რეალურ მდგომარეობას, ქართულ საზოგადოებაში ახალგაზრდების როლსა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას ახალგაზრდებსა და სახელმწიფოს შორის;
- განსაზღვრავს სამოქალაქო აქტივობის ან პასივობის მიზეზებს;
- იპოვის გზებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ახალგაზრდობის მეტად ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- დახვეწს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ მიმართულებას - მონაწილეობას და დაუახლოებს მას ევროპულ სტანდარტებს;

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მაგალითზე, გამოავლენს საუკეთესო პრაქტიკას და შეიმუშავებს ინსტიტუციურ მოდელს სტრუქტურული დიალოგისათვის, სარეკომენდაციო პაკეტს, რომელიც ასახავს ევროკავშირის პრიორიტეტებსა და სტრატეგიებს;

შეიტანს წვლილს ახალგაზრდობის სექტორში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბებისათვის;

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მკითხველს პროექტის ირგვლივ ამომწურავ ინფორმაციას განხორციელების დაწყებისთანავე მიაწვდის, ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც პროექტთან თანამსრომლობითაა დაინტერესებული, შეუძლიათ გამოგვეხმაურონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაზისუბნის ქუჩა №7, ელექტრონული მისამართი: pryoungbarristers@yahoo.com

31 ივლისის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ირაკლი ალასანიას მიმართავს

სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოებაში პრობლემებია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საგანგაშოდ მიიჩნევენ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებულ მდგომარეობას და მიმართავს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას საზოგადოებისთვის მიწოდებულ იქნეს ინფორმაცია, ვინ უზრუნველყოფს და რამდენად შესაბამისობაშია სტანდარტებთან სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა.

ორგანიზაცია ითვალისწინებს შემთხვევას, რომელიც ქუთაისში, 11 სამხედრო მოსამსახურის მონამვლის ფაქტთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ მოხდა. აგრეთვე, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები დაფიქსირდა გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებში. ხოლო როგორც საზოგადოებრივ წრეებში გახდა ცნობილი, საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელი შემთხვევა მოხდა სენაკის სამხედრო ბაზაზე. მოიწამლა 52 ჯარისკაცი. შემთხვევა 2013 წლის 25 ივლისს მოხდა.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომლის შედეგადაც, სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვებით რეჟიმზე გადავიდნენ, თუმცა უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე.

ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ მოუწოდებს და მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება.

არსებული ინფორმაციით, დღეს კომპანია „ქართული კვება“ შეიარაღებულ ძალების სისტემაში ლიდერი კონტრაქტორია, რომელიც სფეროში ფაქტობრივ მონოპოლიას ფლობს. შესაბამისად, ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევები, აუცილებლობას ბადებს, მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა არსებობდეს კვებით უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სამინისტრომ და მინისტრმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით. განაახლოს სატენდერო კონკურსი, რადგანაც კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამინისტროს მიერ 2013 წლის თებერვალში გამოცხადებულ 4 ტენდერში, გამოირჩეოდნენ ფასთა სხვაობით და შემოთავაზებული მომსახურების ხარისხით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განმარტებებს მოითხოვს, თუ რამდენად დგას აუცილებლობა შეიარაღებული ძალების კვების უზრუნველყოფისთვის, 2013 წლის ივნისში შეწყვეტილი ტენდერები განახლდეს.

ამასთან, მნიშვნელოვანია სამინისტროს და მინისტრის მხრიდან გაკეთდეს განმარტებები, სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება და რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით. ორგანიზაციამ აღნიშნულთან დაკავშირებით, ირაკლი ალასანიას უკვე ოფიციალური წერილითაც მიმართა.

ინიციატივა

ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან

“ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალ ინიციატივას იწყებენ

გვ.3

მოკლედ

- ორგანიზაციამ 11 ივლისს, რეკომენდაციით მიმართვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს და არჩევნებიდან 97 ათასი ამომრჩევლის მოხსნის ფაქტთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია დააფისირა. ორგანიზაციამ მოუწოდა ცსკო—ს მიეღო ამომრჩევლებისთვის რეგისტრირების გადაწყვეტილება.
- ორგანიზაციამ 12 ივლისს წერილით მიმართვა შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორ დავით ასანიძეს მგზავრობის ღირებულების და სფეროში არსებული სხვა ტექნიკური პრობლემური საკითხების მიმართ კომპანიის პოზიციის დადგენის მიზნით. ორგანიზაცია საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას კომპანიის ოფიციალური პასუხის შესახებ, რომელიც შპს „თბილისის მიკროავტობუსების“ საქმიანობის მიმართ დამატებით კითხვებს ტოვებს.
- ორგანიზაციამ 12 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს სახელმწიფო საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიაში ჩართვის შესახებ. ორგანიზაციას გააჩნია კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები, მათ შორის ადვოკატთა ინსტიტუციური დაცვის მექანიზმების შემოღებასთან დაკავშირებით, რომლის წარდგენაც ახალ საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიაში იგეგმება.
- ორგანიზაციამ 12 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უფროსს, ზაზა ჭელიძეს საყოველთაო აღწერის მიმდინარეობის შესახებ. ორგანიზაცია საქსტატიდან მიღებულ მონაცემებს და ინფორმაციას მოგვიანებით გააცნობს საზოგადოებას.
- ორგანიზაციამ 15 ივლისს, რეკომენდაციით მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ქობულეთში მომხდარი ინციდენტის ეფექტური გამოძიების შესახებ. ორგანიზაციის საჯარო განცხადებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკითხზე არასამთავრობოებთან შეხვედრით უპასუხა.
- ორგანიზაციამ 19 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანს ირაკლი ქველაძის საქმის პირად კონტროლზე აყვანის შესახებ. მინისტრმა მიმართვა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაამისამართა, ხოლო 30 ივლისს, გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი, იუსტიციის სამინისტროში, საქმეში არსებული მტკიცებულებების დაზუსტების მიზნით, შეხვდა ირაკლი ქველაძის ადვოკატს და ორგანიზაციის ერთ—ერთ ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს.
- ორგანიზაციამ 19 ივლისს მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სოზარ სუბარს ციხეში არჩევნების მოსამზადებელი სამუშაობის შესახებ. ორგანიზაცია ინტერესს გამოთქვამს ციხეში საპრეზიდენტო არჩევნების სტანდარტების დაცვით ჩატარების მონიტორინგით.
- ორგანიზაციამ 19 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას მომზადებული კანონპროექტების გაცნობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ცვლილებებს განიცდის კანონები: „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ , უგზო—უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ.“
- ორგანიზაიამ 19 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს, ლაშა ხუციშვილს ლიდერი გადამხდელი კომპანიების მონაცემების მოწოდების შესახებ.

მოკლედ

- ორგანიზაციამ 26 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, თამარ სანიკიძეს ტერიტორიული ორგანოების — საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ. ორგანიზაციის პოზიციაა კომისიამ განიხილოს პროფესიული სასწავლებლებიდან გათავისუფლებულთა საქმეებიც. ორგანიზაცია ცვლილებების საჭიროებას ქობულეთის პროფესიული კოლეჯ „ახალი ტალღიდან“ პოლიტიკური ნიშნით გათავსიუფლებული თამარ კაიკაციშვილის საქმეზე დაყრდნობით მიიჩნევს.
- ორგანიზაციამ 30 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს სამინისტროებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო კომიტეტებს, სასამართლო სისტემის პირველ პირებსა და აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირებს სტრუქტურული დიალოგის დაწყების შესახებ. სულ მომზადდა 38 წერილი.
- ორგანიზაციამ 30 ივლისს წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ კომიტეტებსა და პარლამენტის ცალკეულ დეპუტატებს მომზადებული კვლევის: „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ანაბრების სამართლებრივი ანალიზის“ საფუძველზე შემუშავებული სარეკომენდაციო პაკეტის მხარდაჭერისთვის.
- ორგანიზაციამ 31 ივლისს წერილით მიმართვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას ჯარში საკვებით უზრუნველყოფის სისტემის გამკაცრების შესახებ.
- ორგანიზაციამ „ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი“ საგრანტო პროექტის ფარგლებში, მოამზადა და წარადგინა პროექტი: „ინფორმირებული მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებისათვის“. (ITEP)
- ორგანიზაციამ მოამზადეს ინიციატივა: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ,საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“.
- ორგანიზაციამ მოამზადეს პროექტი ახალგაზრდული საზაფხულო სკოლაზე: „ახალგაზრდები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის“ . პროექტის განხორციელება დაგეგმილია აგვისტოს მეორე ნახევარში.
- ორგანიზაცია მუშაობდა კვლევაზე: „ქობულეთის საკრებულოს საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი 2012 წელს“ დასკვნა გამოქვეყნდება აგვისტოს მეორე ნახევარში.
- ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა კვლევაზე: „ლიდერი კომპანიები ახალი შრომის კოდექსის სტანდარტების დაცვის პროცესში.“ დასკვნა გამოქვეყნდება სექტემბრის მეორე ნახევარში.
- ორგანიზაციამ მოამზადა დასკვნა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში — რეკომენდაციების პაკეტი“. დასკვნა გამოქვეყნდება აგვისტოს მეორე ნახევარში.
- ორგანიზაციამ დაიწყო მუშაობა კვლევაზე: „დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ“. დასკვნა გამოქვეყნდება სექტემბრის პირველ ნახევარში.
- ორგანიზაციის ადვოკატებმა მოიგეს საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოქალაქე ნელი ჯ—ს არ დაუდასტურდა უსაფუძვლო გამდიდრება და სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება 10 100 ევროს დაკისრებასთან დაკავშირებით.
- ორგანიზაციის ადვოკატებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც, არ მოხდა ურთიერთგამიჯვნის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელე ილია, გიორგი და თინა ჯ—ები უჩივიან ერთ—ერთი სამინისტროს ფინანსური დეპარტამენტის უფროსს, კობა ხ—ს.

15 ივლისის ბრიფინგი

მსს სამინისტრომ ქობულეთის ინციდენტზე მესამე სექტორთან ჯეროვანი კომუნიკაცია აწარმოა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ქობულეთის ინციდენტთან მიმართებით მყისიერ რეაგირებას და შეხვედრას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მიგვაჩნია, რომ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ ნინო გიორგობიანთან 2013 წლის 15 ივლისს შეხვედრა იყო მესამე სექტორის წარმომადგენლებთან სამინისტროს ეფექტური კომუნიკაციის გამოხატულება. შეხვედრა იყო აქტუალური და დაისვა ყველა კითხვა, რომელიც საქმის მიმართ არსებობდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უფლებადამცველებს ის ვიდეო—ფირი გააცნო, სადაც ჩანს ქობულეთში, დაკავების შემდგომ ახალგაზრდების მხრიდან პოლიციის მიმართ გამოხატული სიტყვიერი შეურაცხყოფა. უფლებადამცველების მხრიდან დეტალურად იქნა განხილული საქმესთან დაკავშირებული მიზეზ—შედეგობრივი კავშირი, რომელიც შემთხვევის ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარეობდა. დაისვა გავრცელებული კადრების ავთენტურობის საკითხიც. ამასთან, ორგანიზაციებმა მიიღეს ინფორმაცია დაკავებული ახალგაზრდების წარსულში ჩადენილი კანონდარღვევების შესახებ, თუმცა ცალსახად იქნა აღნიშნული, რომ ნებისმიერი შემთხვევის მიმართ, პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მიიღეს ინფორმაცია, რომ საქმეზე მიმდინარე გამოძიება, დაახლოებით, ერთ კვირაში დარსულდება. ორგანიზაციის შეფასებით, მნიშვნელოვანია საზოგადოება დაელოდოს გამოძიების შედეგებს და არ მოხდეს საკითხის მიმართ მცდარი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება. ორგანიზაციის შეფასებით, არსებობს გამოძიების მიმართ კანონიერი ნდობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა, რათა საქმეზე დადგინდეს სიმართლე და აღდგეს სამართლიანობა.

შეგახსენებთ, რომ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს 2013 წლის 15 ივლისს მიმართეს, რათა დაჩქარდეს გამოძიება იმ საქმეზე, რომელიც ეხება ქობულეთის პოლიციის თანამშრომლების ქმედებებს, რომლებმაც, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციით, 2013 წლის 25—26 მაისს, სამი ქობულეთელი ახალგაზრდის მიმართ ჩაიდინეს არამართლზომიერი ქმედება. სამინისტროს მიერ დღეს წარმოდგენილი ვიდეო—მასალით, ამ ეტაპზე, წინააღმდეგობის ფაქტი, მხოლოდ დაკავებულების მხრიდან ვლინდება, თუმცა მნიშვნელოვანია საქმეზე ყოვლისმომცველი დასკვნის გაცნობა და მიღებული შედეგების შესახებ საზოგადოების შემდგომი ინფორმირება.

ივლისის ბრიფინგები

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ირაკლი ქველაძის საქმეზე თეა წულუკიანს მიმართეს

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მიმართეს და უწყებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ირაკლი ქველაძის საქმის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვეს. ირაკლი ქველაძის ინტერესებს ორგანიზაციის სახელით ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი და იურისტი ნინი ისაკაძე დაიცავენ.

იუსტიციის სახლში არსებული პრობლემების გასაჯაროებისა და განსხვავებული სამოქალაქო პოზიციის გამო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსმა, იუსტიციის სახლისა და თბილისის იუსტიციის სახლის დირექტორებთან შეთანხმებით, სამსახურიდან ხანგრძლივი სივრცის ოპერატორი ირაკლი ქველაძე გაანთავისუფლეს.

ირაკლი ქველაძემ 2012 წლის ნოემბერში, ორგანიზება გაუწია იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ღია წერილის მომზადებას მინისტრ თეა წულუკიანის შეხვედრის მოთხოვნით. ირაკლი ქველაძემ მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია თანამშრომლების სოციალური და შრომითი უფლებების დარღვევის, შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შვებულებების აკრძალვის, უქმე დღეებისა და შესვენების პერიოდში დაწესებული გრაფიკის გამოუყენებლობის შესახებ. ირაკლი ქველაძემ, ასევე მინისტრს გადასცა ოფიციალური დოკუმენტაცია იუსტიციის სახლის მაღალი თანამდებობის პირების პრემიებისა და ხელფასების შესახებ და მიუთითა, რომ ამ თვალსაზრისითაც, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის უთანასწორი დამოკიდებულება არსებობდა. მიუხედავად ამისა, ირაკლი ქველაძესთან, 2013 წლის 31 იანვარს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. სააგენტომ ყველა თანამშრომელს ხელშეკრულება გაუგრძელა, თუმცა არა ირაკლი ქველაძეს, რომელსაც ამ დრომდე, ოფიციალურად, სააგენტოდან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დასაბუთება არ მიუღია. ამჟამად, ირაკლი ქველაძის საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

ირაკლი ქველაძე გათავისუფლებას თავის განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებას, გამოხატვის თავისუფლებას და იუსტიციის სახლის მაღალი თანამდებობის პირების მხილებას უკავშირებს. მოსარჩელე ასაბუთებს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას და სააგენტოს ბრძანების გაუქმებას და თანამდებობაზე აღდგენას მოითხოვს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შაშკინის ხელმოწერით გაყალბებულ სერტიფიკატებზე სარჩელი შეიტანეს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივის, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავა, თავისი შინაარსით, ცდება სამართლებრივ მსჯელობას და საზოგადოებისთვის ცნობილს ხდის განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის პერიოდში სტუდენტებისთვის ყალბი სერტიფიკატების გაცემის ფაქტს. საქმე ეხება დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს, შაშკინის ხელმოწერით, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებისთვის გაცემულ სწავლის დასრულების დამამტკიცებელ სერტიფიკატებს. თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი 2008-2009 წლებში, კურსდამთავრებულებისთვის ყალბ სერტიფიკატებს, დიმიტრი შაშკინის ხელმოწერით

გასცემდა, მაშინ, როდესაც აღნიშნულ პერიოდში, სასწავლებელს არც სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია გააჩნდა და არც უფლებამოსილება - სერტიფიკატები გაეცა. ამ მიმართულებით, სასწავლებლის საქმიანობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კონტროლის ვალდებულება, უშუალოდ მინისტრ დიმიტრი შაშკინს უნდა მოეხდინა, თუმცა სერტიფიკატები იბეჭდებოდა სწორედ დიმიტრი შაშკინის ხელმოწერით და სამინისტროს კანონდარღვევის ფაქტზე რეაგირება, ნებსით თუ უნებლიეთ, არ მოუხდენია.

ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, როდესაც სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ნინო ქუმსიაშვილს დამსაქმებელთან სერტიფიკატის ნამდვილობის საკითხის გარკვევის დროს, პრობლემები შეექმნა. სამინისტრომ მოსარჩელესთან კომუნიკაციის დროს არ გაითვალისწინა ნინო ქუმსიაშვილის კანონიერი უფლებები და ინტერესები, კეთილსინდისიერება სასწავლებელთან ურთიერთობის დროს და სერტიფიკატის აღიარებაზე უარი განაცხადა. საქმეს მოსამართლე ნინო ონიანი განიხილავს, ხოლო მოსარჩელის ინტერესებს, ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ადვოკატი მარიკა არევაძე წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ, მედიაში კომენტარი დიმიტრი შაშკინმა გააკეთა, რომელმაც ორგანიზაციას კვალიფიციურობა დაუწუნა და ბრალდებები უარყო. ორგანიზაცია სასამართლოს კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლამდე ყოფილი მინისტრის ბრალდებებს არ უპასუხებს.

სამი ორგანიზაციის პოზიცია მიწის მონატორიუმთან დაკავშირებით

საქართველოში მიწის შესახებ დაცვის კანონმდებლობა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს და რეგულაციას ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოითხოვს, რადგანაც, 2004-2012 წლებში გატარებულმა სამთავრობო პოლიტიკამ ქართული მიწის უკონტროლოდ გასხვისება გამოიწვია. სწორედ ამ თვალსაზრისითაა მისასალმებელი და უმნიშვნელოვანესი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, დროებითი მონატორიუმი დაწესდეს მიწის გასხვისების პროცესზე, მოხდეს მიწების რეგისტრაცია, რაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევად შეფასდა. მიწის გასხვისების კანონმდებლობის გამკაცრება არ ნიშნავს საბოლოოდ აიკრძალოს მიწის ყიდვის შესაძლებლობა, ხოლო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანია დაცული იქნეს საჯარო ინტერესი. სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკამ გამოავლინა, რომ საქართველოს მსგავსი რეგულაციები არსებობს, მათ შორის შვეიცარიაში, იტალიაში, იაპონიაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, სადაც საკმაოდ რთული პროცედურების გავლაა შემოღებული უცხოეთის მოქალაქემ დაისაკუთროს მიწა.

სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - „ახალგაზრდა ადვოკატების,“ „უფლებადამცველთა გაერთიანებისა“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია - აფბას“ შეხედულებით, თუკი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა/ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სარჩელს მიიღებს და დააკმაყოფილებს, ქვეყანაში უცხო მოქალაქეებზე ქართული მიწების გასხვისების პროცესი გაგრძელდება, მიწის ბაზარზე წარმოქმნილი უკონტროლობა კი საქართველოს მომავლისთვის სასურველ შედეგებს არ მოიტანს. სამი არასამთავრობო ორგანიზაცია მხარდაჭერას გამოთქვამს სამთავრობო ინიციატივის მიმართ და საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 28 ივნისს, საქართველოს კანონში: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიღებულ ცვლილებებს მისაღებს უწოდებს. ვთვლით, რომ ქვეყანაში მიწების გასხვისება უნდა შეჩერდეს შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწამდე.

ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალ ინიციატივას იწყებენ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან სტრუქტურულ დიალოგს იწყებენ. ინსტიტუციურ დიალოგში მონაწილეობისთვის ოფიციალური შეტყობინება უკვე გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს პრემიერ—მინისტრს და ცხრამეტივე სამინისტროს მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტის თავმჯდომარეებს, ფრაქციების ხელმძღვანელებსა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, აჭარის ა/რ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების პირველ პირებსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. აგრეთვე, თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებს. ორგანიზაცია ინსტიტუციურ დიალოგს 2013 წლის 1 აგვისტოდან დაიწყებს და ინიციატივა მუდმივმოქმედი პროცესი იქნება.

რატომ ინსტიტუციური დიალოგი?

ინიციატივა გულისხმობს ორგანიზაციის მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან სისტემური სიახლეების, მიმდინარე რეფორმებისა და პრობლემური საკითხების გაცნობის მიზნით. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინსტიტუციურ დიალოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და სასამართლო სისტემის ეფექტური მუშაობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. არაერთი საჯარო დაწესებულება განიცდის ცვლილებებს, გრძელდება რეფორმები ეკონომიკური პოლიტიკის, განათლების, კულტურის, უსაფრთხოების, თავდაცვის, ჯანდაცვის, იურიდიული დახმარების, იუსტიციის, საგარეო კონტაქტების გაღრმავების, რეგიონალური თვითმმართველობების დახვეწისა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სამშვიდობო ინიციატივების წარმოდგენის მიმართულებით. საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკით, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მიზნად გაუმჯობესებას და საჯარო ინტერესის გათვალისწინებას ისახავს. შესაბამისად, პროცესის მიმართ და რეფორმის შედეგებთან დაკავშირებით, მაღალია ინტერესიც და მოლოდინებიც. ამიტომაც, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას უფლება არ აქვს დაუშვას შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2004—2012 წლებში. ხელისუფლების შტოთა საქმიანობის მიმართ ნდობას, გამჭვირვალობას და ავტორიტეტს საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაცია და ინსტიტუციური დიალოგი განსაზღვრავს. ამ მიმართულებით, მედიასთან ერთად, მთავარი როლი არასამთავრობო ორგანიზაციებს უჭირავთ. მესამე სექტორი ვალდებულია პირუთვნელად აფასებდეს საჯარო უწყებაში მიმდინარე საქმიანობას და ინფორმაციას აწვდიდეს საზოგადოებას. საკითხების მიმართ ობიექტური დამოკიდებულება ერთ—ერთი ყველაზე გამოკვეთილი პრინციპია, რომელიც ინსტიტუციური დიალოგის პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაიცვას. დიალოგი აუცილებელია, რადგანაც აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე საქმიანობას საფუძვლად უდევს ახალი ხელისუფლებისათვის მძიმე პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური მემკვიდრეობა, მმართველ პოლიტიკურ ძალასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის დაწყებული კოჰაბიტაცია, პოლიტიკური მანიპულაციები, რითაც შესაძლებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი წინადადება, ინიციატივა და მოვლენა ყურადღების მიღმა დარჩეს. ამ მიმართულებით, ახალგაზრდობის ჩართულობა და აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ინსტიტუციურ დიალოგის კულტურის დამკვიდრება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებ-

ლობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მუდმივობაში, რაც უფრო მეტად გახდის საზოგადოებრივ აზრს სტაბილურს და მოქალაქის ინტერესს დაუბრუნებს ნამდვილ ფუნქციას.

რა ფორმით წარიმართება ინსტიტუციური დიალოგი?

ორგანიზაცია ინსტიტიტუციური დიალოგის განხორციელებისთვის ურთიერთობას ამყარებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანია, სრულად იქნეს გადმოცემული ინფორმაცია საჯარო უწყების საქმიანობის, პრიორიტეტებისა და სიახლეების შესახებ. ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში, ორგანიზაცია წარადგენს სტუმარს, განმარტავს შეხვედრის აუცილებლობას, მიმართავს სტუმარს უწყებაში მიმდინარე ერთი ან/და რამდენიმე სიახლის გაცნობის მიზნით, ხოლო დიალოგის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა კითხვა—პასუხის რეჟიმს, სადაც წარმომადგენლების მიერ დასმული შეკითხვები პირდაპირ კავშირში იქნება საჯარო უწყებასთან ან/და ხელმძღვანელ პირთან და მოითხოვს მეტ კონკრეტიკას, დაზუსტებას, ახსნას და საზოგადოებამდე სრულფასოვნად მიტანას. ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება გააჩნია ორგანიზაციის გუნდს და წევრ ადვოკატებს. შეხვედრა ღია იქნება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისთვის. შესაძლებელია, მიღებულ იქნეს შეხვედრაზე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დასწრების გადაწყვეტილებაც, რომლის საჭიროებას, ერთობლივად განსაზღვრავენ, ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო და საჯარო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. სტუმარი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას შეხვედრის თემატიკასთან მიმართებით.

რა პერიოდულობით გაიმართება შეხვედრები?

ორგანიზაცია ინსტიტუციური დიალოგის განხორციელებას ყოველთვიური ფორმატით უზრუნველყოფს. პერიოდულობა დამოკიდებულია საჯარო უწყების მიმართ საზოგადოებრივ ინტერესზე. ინსტიტუციური დიალოგის ფორმატით პერიოდულობის გრაფიკი გულისხმობს, თვეში, არანაკლებ 3 შეხვედრას საჯარო უწყების წარმომადგენელთან. შეხვედრების ადგილდებარეობა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს თბილისით და საქართველოს რეგიონებით.

რა დასაბუთება აქვს ინიციატივას?

ინსტიტუციური დიალოგის საჭიროება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოსთვის აუცილებელი, დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტია. არჩევნების შედეგები ლიდერებმა, მათმა ავტორიტეტმა, პოლიტიკური ვითარების მიმართ კრიტიკამ და სხვადასხვა სოციალურმა ფაქტორებმა განაპირობეს, მაშინ, როდესაც ნაკლები ყურადღება დაეთმო საარჩევნო პროგრამებს, არჩევნებს, როგორც ინსტიტუციურ შესაძლებლობას ცვლილებებისათვის და მოქალაქის როლის გათავისებას ქვეყნის მმართვის პროცესში. ასეთ საზოგადოებრივ არჩევანს ჰქონდა ობიექტური თუ სუბიექტური საფუძვლები, ისევე, როგორც დღეს საზოგადოება ნაკლებად ფლობს ინფორმაციას სიახლეების, ხედვების, ინიციატივებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ წარმოადგინა. მოსახლეობის ინტერესის აქცენტირება ხდება უარყოფით კონტექსტზე. ფიარის მაღალი შესაძლებლობების ფონზე, მიმდინარეობს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობისა და ინიციატივების დისკრედიტაცია, საზოგადოების ობიექტური ინფორმირების შინაგანი რწმენა გამოყენებულია პოლიტიკური წარმატებებისთვის და ინსტიტუციური დიალოგის საჭიროება თუ შესაძლებლობა, მთლიანად გამორიცხულია. ამიტომაც, აუცილებელია აღდგეს ჯეროვანი, ეფექტური კომუნიკაცია საზოგადოებასა და საჯარო ხელისუფლებას შორის, დაიწყოს პირდაპირი დიალოგი საჯარო უწყების წარმომადგენლებთან, პროფესიულ წრეებსა და არასამთავრობო სექტორს მიეცეს საჯარო ხელისუფლებასთან სრულფასოვანი კომუნიკაციის შესაძლებლობა.

ინიციატივის მოსალოდნელი შედეგები

- აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუციების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღალება
- საჯარო უწყებების გამჭვირვალობა და ურთიერთობის უწყვეტობა საზოგადოებასთან
- მაღალი საჯარო ინტერესის უზრუნველყოფა
- ახალგაზრდების თანამონაწილეობა საჯარო მმართველობის პროცესში
- ინსტიტუციური დიალოგის კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში

ინიციატივის მდგრადობა

სტრუქტურული დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან იქნება პირველი შემთხვევა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს და ხელს შეუწყობს საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და ახლგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სტრუქტურული დიალოგის ფორმატში, შესაძლებელი გახდება, საზოგადოებრივად/სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე ერთიანი ხედვის ფორმირება და სწორი ორიენტირების ჩამოყალიბება.

ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთთანამშრომლობის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

მოკლედ

- ორგანიზაციის ადვოკატმა საქართველოს უზენაესს სასამართლოში გაასაჩივრეს მოქალაქე მარინა ბ—ს საქმე, რომელიც უჩივის ყოფილ მეუღლეს შეძენილი ქონების მისაკუთრებაში.
- ორგანიზაციის ადვოკატებმა საქართველოს უზენაესს სასამართლოში დაიცვეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინტერესები ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ფაქტზე.
- ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელს უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან შრომით ურთიერთობის დავაში.
- ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს ეგვიპტის მოქალაქეს საქართველოში მიწის შესწყიდვის სამართლებრივ პროცედურებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
- ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს მოქალაქეს, რომელსაც სურდა გვარის შეცვლა.
- ორგანიზაციის იურისტებმა მონაწილეობა მიიღო „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ დაგეგმილ კონფერენციაში.
- ორგანიზაციის იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს წევრთა 2013 წლის შერჩევის პროცესში და გამოთქვეს საბჭოსთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი.
- ორგანიზაციის იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტების“ მიერ მომზადებულ კონფერენციაში, რომელიც ეხებოდა პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო ინიციატივების განხილვას.
- ორგანიზაციის გუნდმა დაიწყო ახალი საიტის მომზადება. საიტი ინტერნეტში განთავსდება აგვისტოს მეორე ნახევარში.
- ორგანიზაციამ youtube.com უზრუნველყო საკუთარი გვერდის განთავსება და განახლება.
- ორგანიზაციამ განაახლა სამუშაო გუნდი და გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მიიღო საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი მენეჯერი.

ჩვენს შესახებ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპებისა და მიღებული წესდების (შინაგანაწესის, სტრატეგიული დოკუმენტებისა და ინსტრუქციების) შესაბამისად.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები/ინიციატივები 2012—2013 წლებში

1. პროექტი „საბჭოთა და პოსტ—საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“, 2013
2. პროექტი „განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2013
4. პროექტი „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“. 2012
5. კვლევა: „საქართველოს პარლამენტისა და მსოფლიოს საკანონმდებლო გამოცდილების შედარებითი ანალიზი“ 2012
6. პროექტი „საარჩევნო პროგრამების მონიტორინგი“, 2012
7. კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“. 2012
8. კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“ 2012
9. დასკვნა: „ტელეკომპანია „მაესტროს“ ქონების დაყადაღების საკითხის სამართლებრივი და ეკონომიკური შეფასება“, 2013

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლის ივლისიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ანხორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, მონაწილეობს სამთავრობო უწყებებთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენლობაში, თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წარმოადგენს ახალ-

გაზრდულ ალიანსს: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის”.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ამასთან, ორგანიზაცია ძირითად სტრატეგიად აცხადებს: ჩართულობას უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროცესში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, კანონმდებლობის ექსპერტიზის, პროფესიული განვითარების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების, თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის, მედია-ადვოკატირების, არჩევნების მონიტორინგისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი აქტიურ მონანილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციის საქმიანობას ფართო ყურადღება ეთმობა მედიაში.

ორგანიზაცია და არჩევნები - 2013

„ახალგაზრდა ადვოკატებმა" საპრეზიდენტო არჩევნების პროცესთან დაკავშირებით, ივლისში, რამდენიმე გამოხმაურება მოამზადა. მათ შორის, მიმართვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ, პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნასა და ცსკო-ს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც, 97 ათასს ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეეზღუდად. ამასთან, „ახალგაზრდა ადვოკატებმა" მოამზადეს პროექტი „ინფორმირებული მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებისათვის". პროექტი წარდგენილია „ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი" საგრანტო პროექტის ფარგლებში. „ახალგაზრდა ადვოკატები" მზადყოფნას გამოთქვამს განახორციელოს 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დაკვირვება და მონიტორინგი.

ცსკო-ს შეცვლილი გადაწყვეტილება

„ახალგაზრდა ადვოკატები" გამოეხმაურა რეგისტრაციიდან მოხსნილი პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ზურაბ ხარატიშვილს რეკომენდაციით მიმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლები, 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში, მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ასეთ ამომრჩეველთა რაოდენობა 97 000 აღემატებოდა, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციამ გაითვალისწინა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა პოზიციაც და მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა.

ორგანიზაციის იურისტის, მარიან ნეფარიძის განცხადებით, რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩეველთათვის ხმის მიცემის უფლება, ერთის მხრივ, წარმოშობდა რისკს, რომ ასეთი ამომრჩევლები ერთდროულად აღმოჩნდებოდნენ ორი საარჩევნო უბნის სიაში, რაც ზიანს მიაყენებდა ამომრჩეველთა სიების სიზუსტეს და წინააღმდეგობაში მოდიოდა საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებთან, მეორეს მხრივ, რეგისტრაციიდან მოხსნილ პირთათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა ამომრჩეველთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზებასთან და 97 000-ზე მეტ ამომრჩეველს დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას 18 წელს მიღწეულ საქართველოს ყველა მოქალაქეს ანიჭებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არ აქვთ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ახალგაზრდა ადვოკატები" მიიჩნევდნენ, რომ ცესკოს გადაწყვეტილება იყო არაკონსტიტუციური. როგორც ბრიფინგზე ორგანიზაციის იურისტმა განაცხადა, კონსტიტუციური პრინციპების დაცვა საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებზე მაღლა უნდა იდგეს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა" საზოგადოებას ძალადობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდეს

„ახალგაზრდა ადვოკატები" გამოეხმაურნენ 27 ივლისს, თბილისში, გამოფენასთან დაგეგმილ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრაიმერიზის პარალელურად, პარტიის მიმართ უარყოფითად განწყობილი მოქალაქეების შეკრებას. ორგანიზაციამ პრეს-რელიზი გაავრცელა, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპია მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეკრებებზე გამოთქვან თავიანთი პოლიტიკური შეხედულება და მანიფესტაციების საშუალებით საჯაროდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა უფლებების დაცვა ცალხმრივად, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ვერ მოხერხდება. ქვეყნის ინტერესების დასაცავად, აუცილებელია საზოგადოება არ გასცდეს კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოებს და შეკრებას ძალადობრივი ხასიათი არ მისცეს.

განცხადებაში აღინიშნა, რომ ორგანიზაცია ითვალისწინება 2013 წლის 20-21 ივლისს ბათუმსა და ზუგდიდში გამართული წინასაარჩევნო კამპანიისას მომხდარ შემაშფოთებელ ფაქტებს და თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე, საზოგადოებას ძალადობრივი ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა. ორგანიზაციამ თითოეულ მოქალაქეს მიმართა, არ დაევიწყათ, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ბოროტად გამოყენება დააზიანებდა ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებს.

პრეზიდენტი ემიგრაციაში საქართველოს მოქალაქეებს საარჩევნო უფლების გარეშე ტოვებდა

„ახალგაზრდა ადვოკატები" საპრეზიდენტო არჩევნების თავდაპირველ თარიღად 31 ოქტომბრის გამოცხადებას გამოეხმაურნენ და პრეზიდენტს მიმართეს, შეეცვალა არჩევნების დღე. ორგანიზაციამ ბრიფინგის სახით საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დროებით მსოფლიოს 32 ქვეყანის ემიგრაციაში იმყოფებიან, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, 31 ოქტომბრის საარჩევნო დღს, სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საარჩევნო დღედ გამოცხადებული 31 ოქტომბერი, საქართველოსგან განსხვავებით, სამუშაო დღეს წარმოადგენს უცხოეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის, რაც თავის მხრივ, სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარების წინაპირობებს ვერ ქმნის. პრეზიდენტს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან და დემოკრატიის განხორციელების პროცესში, მათი უშუალო მონაწილეობა. ნებისმიერ ქვეყანაში, დიასპორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარების პროცესში, თუმცა 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლებელია, მათი თანამონაწილეობის მნიშვნელობა, იგნორირებული აღმოჩნდეს. „ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, პრეზიდენტის გადაწყვეტილება სამართლებრივად და პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იყო, რითაც უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებებს ხელყოფდა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა" მიმართეს პრეზიდენტს, რათა უზრუნველყო მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება, რათა საპრეზიდენტო არჩევნებს ჰქონდა შესაბამისი ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა. ამასთან, „ახალგაზრდა ადვოკატები" გამოვიდნენ ორი რეკომენდაციით და მიმართეს საქართველოს მთავრობას და საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათაშორის კომისიას. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, აუცილებლად უნდა მოხდეს რუსეთის ფედერაციაში. როგორც ცნობილია, საქართველოდან ემიგრაციის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ რუსეთში ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა საქართველოს მთავრობამ დაიწყოს აქტიური დიპლომატიური შესაძლებლობების გამოყენება და არჩევნების ჩატარების საკითხი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას საქართველოს მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა დააყენოს.

ორგანიზაცია მიმართავს საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათაშორის კომისიას და საჭიროდ მიიჩნევს წინასაარჩევნო პროცესში მკაცრად შეფასდეს ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული შეიძლება აღმოჩნდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა მიმართ თავისუფალი ნების გამოვლენის ზემოქმედებასთან. საქართველოს, ამ მიმართულებით, ცუდი პრაქტიკა გააჩნია, ხოლო უწყებათასორის კომისიას - არაეფექტური მუშაობის გამოცდილება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლოს 32 ქვეყნის 38 ქალაქში, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, 40 საარჩევნო უბანი ფუნქციონირებდა. არაოფიციალური ინფორმაციით, დღეს საქართველოს 1 მლნ 900 000 ათასი ემიგრანტი ჰყავს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა" სამუშაო გუნდი განაახლა

„ახალგაზრდა ადვოკატების" სადამფუძნებლო საბჭოს 2013 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით, სოფიო აზარიაშვილმა ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიცია დაიკავა, ხოლო ნინი ისაკაძე, ანა კიკნაძე, ლევან ბერაძე და ჯაბა სირაბიძე იურისტის უფლებამოსილებას შეასრულებენ. ამასთან, ორგანიზაციის წევრი ადვოკატობის სურვილი გამოთქვეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 35-წლამდე სერტიფიცირებულმა წევრებმა, რომელთა მიმართაც, ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო, აგვისტოში წევრობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჯაბა სირაბიძე

ანა კიკნაძე

სოფო აზარიაშვილი

ნინი ისაკაძე

ლევან ბერაძე

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;

E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები